

# ტესტი ისტორიაში

## I ვარიანტი

### ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ტესტის ყოველი დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 60.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 2 საათი და 40 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!



## ინსტრუქცია დავალებებისათვის № 1-15.

თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენ მიერ არჩეული პასუხის მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცელზე სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა.შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

(1) 1. სხვა მიზეზებთან ერთად, რამ განაპირობა ურარტუს სამეფოს დასუსტება ძვ. წ. VIII საუკუნის II ნახევარში?

ა) ჩრდილოეთიდან კიმერიელთა შემოჭრამ;

ბ) აღმოსავლეთისკენ დაძრული ჰუნების შემოსევებმა;

გ) სამხრეთით მდებარე დიაოხის მეფეთა ლაშქრობებმა;

დ) დასავლეთიდან მოსული „ზღვის ხალხების“ თავდასხმებმა.

(1) 2. სხვა მიზეზებთან ერთად, რამ განაპირობა კომპიუსის ლაშქრობა აღმოსავლეთში ძვ.წ. I საუკუნეში?

ა) პონტოს სამეფოს მცდელობამ წინ აღდგომოდა რომის სახელმწიფოს წინსვლას;

ბ) ალბანეთის სამეფოს ბრძოლამ რომის მოკავშირე სელევკიდების სახელმწიფოს წინააღმდეგ;

გ) იბერიის სამეფოს მიერ კავკასიის გადმოსასვლელების გახსნამ მომთაბარე ტომებისთვის;

დ) მიდიის სამეფოს მუდმივმა მარბიელმა თავდასხმებმა რომის აზიურ პროვინციებზე.

(1) 3. რომელი სამხედრო წარმატება უკავშირდება იმპერატორ იუსტინიანეს მმართველობას?

ა) ფრანკების სახელმწიფოს დაპყრობა გალიაში;

ბ) ვანდალების სამეფოს განადგურება ჩრდილოეთ აფრიკაში;

გ) ალანების განდევნა მდინარე დუნაის გადაღმა;

დ) დედაქალაქზე ოსტგოთების თავდასხმების მოგერიება.

(1) 4. რა პრობლემები შეიქმნა ქვეყნის შიგნით დემეტრე I-ის მეფობისას?

- ა) მეფეს აუმხედრდნენ ერისთავი ლიპარიტ ბაღვაში და თბილისის ამირა;
- ბ) საქართველოს სამეფოს ჩამოსცილდა ჯერ კახეთი, ხოლო შემდეგ ჰერეთი;
- გ) მეფის წინააღმდეგ გამოვიდა ჯერ მისი ძმა, შემდეგ კი უფროსი ძე;
- დ) სამხრეთ საქართველოს ერისთავებმა კავშირი დაამყარეს რუმის სულთანთან.

(1) 5. სხვა მიზეზებთან ერთად, რამ შეუწყო ხელი ჯვაროსნებს აეღოთ კონსტანტინოპოლი 1204 წელს?

ა) იმპერატორის მარცხმა სელჩუკებთან ბრძოლაში;

ბ) ბრძოლამ ბიზანტიის საიმპერატორო ტახტისათვის;

გ) ხატმებრძოლების გამო დაწყებულმა შიდა დაპირისპირებამ;

დ) დედაქალაქში დაწყებულმა დიდმა აჯანყებამ.

(1) 6. სხვა მიზეზებთან ერთად, რომელმა მოვლენამ აიძულა საქართველოს სამეფო კარი, ელიარებინა მონღოლთა ბატონობა?

ა) საქართველოს სამეფოს ტახტის მემკვიდრის ტყვედ ჩავარდნამ;

ბ) დასავლეთ საქართველოში მონღოლთა ლაშქრის გადასვლამ;

გ) გადამწყვეტ ბრძოლაში მონღოლებთან დამარცხებამ;

დ) ქართველი დიდებულების უმეტესობის მონღოლებთან დაზავებამ.



(1) 7. რა ეწოდებოდა პოლონეთის სამეფოსა და ლიტვის დიდი სამთავროს გაერთიანებულ სახელმწიფოს?

ა) რეჩ პოსპოლიტა;

ბ) ვარშავის საჰერცოგო;

გ) ბალტიის უნია;

დ) ლივონიის კონფედერაცია.

(1) 8. ვინ იყო ვილემ (ვილჰელმ) ორანელი?

ა) ანგლიკანური ეკლესიის დამაარსებელი;

ბ) ნიდერლანდელი ამბოხებულების მეთაური;

გ) გერმანიის ლუთერან თავადთა კავშირის ხელმძღვანელი;

დ) საფრანგეთის პირველი მინისტრი და კარდინალი.

(1) 9. რომელი მსჯელობაა მართებული საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესახებ?

- ა) საფრანგეთის რევოლუციის მხარდამჭერთა ძირითად დასაყრდენს ვანდეის რეგიონი წარმოადგენდა;
- ბ) რევოლუციის მოწინააღმდეგე ფრანგი მონარქისტები სანკიულოტების სახელით იყვნენ ცნობილი;
- გ) ნანტის ედიქტით საფრანგეთის მეფე ლუი XVI-მ რევოლუციონერთა ყველა მოთხოვნა დააკმაყოფილა;
- დ) საფრანგეთის რევოლუციას პარიზში მდებარე ბასტილიის ციხის აღებამ დაუდო სათავე.

(1) 10. რომელი მსჯელობაა მართებული იმერეთის სამეფოს შესახებ?

- ა) ამასიის ზავის პირობების თანახმად, იმერეთის სამეფო ოსმალეთის გავლენის სფეროში მოექცა;
- ბ) სოლომონ I-ის დამარცხებისა და ქვეყნიდან განდევნის შემდეგ რუსეთის იმპერატორმა იმერეთის სამეფო გააუქმა;
- გ) რუხის ბრძოლაში გამარჯვების შედეგად სოლომონ II-მ ოსმალები იმერეთის ყველა ციხიდან განდევნა;
- დ) ქუჩუკ-კაინარჯის ზავის თანახმად, იმერეთის სამეფო რუსეთის იმპერიის მფარველობაში შევიდა.

(1) 11. რომელ ქვეყანაში არ განვითარდა 1848-1849 წლებში რევოლუციური მოვლენები?

ა) ავსტრიაში;

ბ) გერმანიაში;

გ) ესპანეთში;

დ) საფრანგეთში.

(1) 12. რომელი სახელმწიფოს ხელმძღვანელობით გაერთიანდა გერმანია?

ა) ავსტრიის იმპერიის;

ბ) საქსონიის სამეფოს;

გ) ვაიმარის რესპუბლიკის;

დ) პრუსიის სამეფოს.

(1) 13. რომელი მსჯელობაა მართებული 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების თაობაზე?

- ა) პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ შექმნილმა ახალმა ვითარებამ და რამდენიმე იმპერიის დაშლამ ხელი შეუწყო საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას;
- ბ) რუსეთში განვითარებულმა მოვლენებმა და პირველი მსოფლიო ომის ბოლოს შექმნილმა ვითარებამ განაპირობა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება;
- გ) ერთა ლიგის შექმნამ მსოფლიოში დეკოლონიზაციის პროცესის გააქტიურება გამოიწვია, რასაც შედეგად ახალი სახელმწიფოების შექმნა მოჰყვა და მათ შორის იყო საქართველოც;
- დ) ვერსალის საზავო კონფერენციის შემდეგ შექმნილმა ახალმა რეალობამ საშუალება მისცა დაპყრობილ ერებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში დამოუკიდებლობა მოეპოვებინათ.

(1) 14. რომელი მსჯელობაა მართებული მეორე მსოფლიო ომში ქართველების მონაწილეობასთან დაკავშირებით?

ა) ომის დაწყების შემდეგ ნახევარ მილიონზე მეტი ქართველი გაიწვიეს საბჭოთა ჯარში. ქართველების ნაწილი იბრძოდა გერმანიის მხარესაც, ხოლო პოლიტიკურ ემიგრაციაში აზრი ორად იყო გაყოფილი;

ბ) საბჭოთა არმიაში მილიონზე მეტი ქართველი იბრძოდა. ამავე დროს გერმანელებმა ქართველი ტყვეებისაგან ჩამოაყალიბეს კავკასიის გათავისუფლების არმია, რომელიც აქტიურად იბრძოდა სტალინგრადის ბრძოლაში;

გ) ომის მონაწილე ქართველთა უმეტესობა წითელი არმიის რიგებში იბრძოდა, თუმცა მთელმა ქართულმა ემიგრაციამ მხარი ნაცისტურ გერმანიას დაუჭირა და უცხოეთში მყოფ ქართველთაგან სამხედრო შენაერთების შექმნა დაიწყო;

დ) წითელ არმიაში ასობით ათასი ქართველი იბრძოდა, მათი ნაწილი ტყვედ ჩავარდა და მათზე ქართული ემიგრაცია ზრუნავდა, რომელიც ამ ომის დროს აქტიურად უჭერდა მხარს საბჭოთა კავშირს.



(1) 15. რომელი მსჯელობაა მართებული 1989 წლის აპრილის დასაწყისში თბილისში განვითარებული მოვლენების თაობაზე?

ა) დაპატიმრებული დისიდენტების გათავისუფლების მოთხოვნით დაწყებული აქცია დიდ საპროტესტო მოძრაობად იქცა. ხელისუფლებამ მომიტინგეების წინააღმდეგ საჯარისო ნაწილები გამოიყვანა;

ბ) აქციების მთავარი მოთხოვნა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა იყო. საპასუხოდ ხელისუფლებამ მასობრივი რეპრესიები განახორციელა;

გ) აქციების მთავარი მოთხოვნა საქართველოს დამოუკიდებლობა იყო. ხელისუფლებამ მომიტინგეები ძალის გამოყენებით დაარბია, რასაც მსხვერპლი მოჰყვა;

დ) ბრეჟნევის გარდაცვალების შემდეგ დაწყებულმა ანტიქართულმა პოლიტიკამ მოსახლეობის საპროტესტო გამოსვლები გამოიწვია. ხელისუფლებამ მასობრივ რეპრესიებს მიმართა.

### ინსტრუქცია დავალებებისათვის № 16-18.

ქრონოლოგიურად დაალაგეთ ისტორიული მოვლენები და პიროვნებები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ დასახელებული მოვლენის ან პიროვნების შესაბამისი ციფრი. პირველ უჯრაში იწერება ის ციფრი, რომლითაც ყველაზე ადრე მომხდარი მოვლენაა აღნიშნული და ა.შ. შესაბამისად, ბოლო, მესამე უჯრაში ის ციფრი ჩაიწერება, რომლითაც ყველაზე გვიან მომხდარი მოვლენა აღინიშნა. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

(1) 16. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ქართლის სამეფოსთან დაკავშირებული მოვლენები.

1. მირიან მეფის მიერ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება
2. ვახტანგ გორგასლის მიერ ანტიირანული აჯანყების დაწყება
3. ფარსმან II-ის დაპირისპირება რომის იმპერატორთან

(1) 17. ქრონოლოგიურად დაალაგეთ რეფორმაციის ეპოქაში განვითარებული მოვლენები.

1. 95 თეზისის გამოქვეყნება
2. ტრიენტის კრების მოწვევა
3. აუგსბურგის ზავის გაფორმება

(1) 18. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ამერიკელი პოლიტიკოსები მათ მიერ პრეზიდენტის თანამდებობის დაკავების დროის მიხედვით.

1. ჰარი ტრუმენი
2. რიჩარდ ნიქსონი
3. ვუდრო ვილსონი


## ინსტრუქცია დავალებისათვის № 19.

თქვენ წინაშეა ერთი კონკრეტული ისტორიული მოვლენის აღმწერი ორი სხვადასხვა ტიპის წყარო: ბრძოლის სქემა და ტექსტი. შეაჯერეთ ორივე წყაროში არსებული ინფორმაცია და უპასუხეთ დასმულ შეკითხვებს მხოლოდ წყაროებში არსებული ინფორმაციის მიხედვით. ყოველ კითხვას გაეცით კონკრეტული და ამომწურავი პასუხი. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 4.






დავალება და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე



ჩ  
ს



სქემის პირობითი აღნიშვნები

-  ჯარის წინსვლა
-  ჯარის უკანდახევა
-  ოლთისის ციხე
-  ზარბაზანი
-  არზრუმის ფაშას დაღუპვის ადგილი

როდესაც იმერეთის მეფე ბაგრატ III-მ სამხრეთ საქართველო დაიპყრო, სამცხის ათაბაგის ვაჟმა ქაიხოსრომ თავი ოსმალეთს შეაფარა. რამდენიმე წლის შემდეგ სულთანმა არზრუმის ფაშას უბრძანა, შეჭრილიყო საქართველოში და ათაბაგად ქაიხოსრო დაესვა. ფაშამ ჯარი შეკრიბა, ევროპული ტექნიკით აღჭურვა და სალაშქროდ დაიდრა. საქართველოში შემოჭრილმა ტაო დაარბია და ერთ-ერთ ციხეს ალყა შემოარტყა, რომელშიც ბაგრატის მომხრეები იყვნენ გამაგრებული. ამასობაში მეფემ ლაშქარი შეკრიბა და ტაოსკენ გაემართა. როდესაც ბაგრატმა მტრის მრავალრიცხოვნებისა და შეიარაღების შესახებ შეიტყო, გადაწყვიტა ხერხისთვის მიემართა. მეფე ფაშას ციხის ჩაბარებას შეჰპირდა, თუკი ოსმალები უკან გაბრუნდებოდნენ. ფაშა დათანხმდა, ციხე ჩაიბარა და იქ თავისი, ევროპული ტექნიკით აღჭურვილი გარნიზონი ჩააყენა. ფაშამ ლაშქრობა დასრულებულად ჩათვალა და ლაშქრის ძირითად ნაწილთან ერთად ოსმალეთის გზას დაადგა. როგორც კი ბაგრატმა ოსმალთა ლაშქრის დაცალკევების შესახებ შეიტყო, თავს დაესხა გარნიზონს, ხელში ჩაიგდო ევროპული ტექნიკა და ციხე ოსმალთაგან გაათავისუფლა. მეფე ამით არ დაკმაყოფილდა და მომდევნო ნაბიჯიც გადადგა.

**კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე**

## კითხვები:

(1) **19.1.** რა გარემოებამ აიძულა ათაბაგის ვაჟი დაეტოვებინა სამცხე?

(1) **19.2.** რომელი ციხე გაათავისუფლა იმერეთის მეფემ ოსმალთაგან?

(1) **19.3.** კონკრეტულად რა მოიმოქმედა იმერეთის მეფემ მას შემდეგ, რაც ციხე ოსმალთაგან გაათავისუფლა?


(1) **19.4.** კონკრეტულად რა შეიარაღება იგულისხმება ტექსტში ნახსენებ „ევროპულ ტექნიკაში“?




## ინსტრუქცია დავალებისათვის № 20.

ყურადღებით გააანალიზეთ ილუსტრაციაზე მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ დასმულ კითხვებს. ყოველ კითხვას გაეცით კონკრეტული და ამომწურავი პასუხი. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

დავალება და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე





ილუსტრაციაზე ინგლისურად წერია - რკინის ფარდა

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

## კითხვები:

(2) **20.1.** რა ეწოდება ისტორიულ პროცესს, რომლის დასაწყისი ასახულია ილუსტრაციაზე? დაასახელეთ ილუსტრაციაზე არსებული კონკრეტული ინფორმაცია, რომელიც თქვენს პასუხს ადასტურებს.

(2) **20.2.** დაასახელეთ პოლიტიკური მოღვაწე, რომელმაც ილუსტრაციაზე ასახულ საზღვარს სიმბოლური სახელი უწოდა და ახსენით, რა შინაარსი ჩადო ამ სახელწოდებაში.

ინსტრუქცია დავალებისათვის № 21.


დავალებაში მოცემულია გარკვეული ეპოქის ისტორიული რუკა. უპასუხეთ დასმულ კითხვებს, ხოლო პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 11.

რუკა და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე



# რუკის პირობითი აღნიშვნები

- ქალაქი
- დედაქალაქი
- ▶ ადებული ქალაქები
- მონღოლთა დაპყრობები 1207 წლისთვის
- მონღოლთა დაპყრობები 1227 წლისთვის
- მონღოლთა ლაშქრობების მიმართულებები
- 1 საქართველო
- 2 ვოლგის ბულგარეთი
- 3 კორიო
- ხვარაზმელთა ლაშქრობის მიმართულება



კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

## კითხვები:

(1) **21.1.** რომელი საუკუნის ვითარებას ასახავს წარმოდგენილი რუკა?

(1) **21.2.** რუკის მიხედვით, დაასახელეთ აზიაში მდებარე სახელმწიფო, რომელშიც მონღოლებს არ ულაშქრიათ.

(1) **21.3.** რუკის მიხედვით, დაასახელეთ მონღოლთა დედაქალაქი.

(1) **21.4.** რა ეწოდება სახელმწიფოს, სადაც რუკის მიხედვით, მოეწყო მონღოლთა უკანასკნელი ლაშქრობა?

(1) **21.5.** რუკის მიხედვით, რა ეწოდება სახელმწიფოს, რომლის ლაშქარმაც აიღო საქართველოს დედაქალაქი?

(2) **21.6.** რუკის მიხედვით, დაასახელეთ სახელმწიფოები, რომელთა ტერიტორია ორი ფერით არის წარმოდგენილი და ახსენით, რატომ არის ორფერად.

(2) **21.7.** რუკის მიხედვით, დაასახელეთ ევროპის ქალაქები, რომლებსაც არ შეხებია რუკაზე ასახული ლაშქრობები.

(2) **21.8.** რუკის მიხედვით, რომელი ხალხები შედიოდნენ მონღოლთა სახელმწიფოს შემადგენლობაში 1207 წლისთვის?

**ინსტრუქცია დავალებებისათვის № 22 და 23.**

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ტექსტები და შეასრულეთ დავალებები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. გაითვალისწინეთ, არგუმენტი უნდა იყოს კონკრეტული, აზრი კი - ნათლად ჩამოყალიბებული და დასრულებული. თითო არგუმენტი ფასდება 1 ქულით. თითოეული დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

## დავალება 22.

გიორგი ბრწყინვალემ XIV საუკუნის 20-იან წლებში დასავლეთ საქართველოს შემოერთება განიზრახა. დიდებულთა ნაწილმა მას მხარი დაუჭირა, ნაწილი კი წინააღმდეგი იყო.

მოიყვანეთ არგუმენტი, რომლითაც მეფის წინადადების მომხრე საკუთარ მოსაზრებას განამტკიცებდა.

მოიყვანეთ არგუმენტი, რომლითაც მეფის წინადადების მოწინააღმდეგე საკუთარ მოსაზრებას განამტკიცებდა.



## დავალება 23.

რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე II-მ სახელმწიფოში გარკვეული რეფორმები გაატარა. მათ შორის იყო ქალაქებისთვის თვითმმართველობის მინიჭება ანუ საქალაქო დუმის (სათათბიროს) შექმნა. მისი გარემოცვის წევრთა ნაწილი მხარს უჭერდა ქალაქების თვითმმართველობას, ნაწილი კი ეწინააღმდეგებოდა.

მოიყვანეთ არგუმენტი, რომლითაც ქალაქების თვითმმართველობის მომხრე საკუთარ მოსაზრებას განამტკიცებდა.

მოიყვანეთ არგუმენტი, რომლითაც ქალაქების თვითმმართველობის მოწინააღმდეგე საკუთარ მოსაზრებას განამტკიცებდა.

## ინსტრუქცია დავალებებისათვის № 24.

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი დავალება და შეაფასეთ მასში მოცემული ისტორიული პროცესის მნიშვნელობა. გაითვალისწინეთ, არგუმენტი უნდა იყოს კონკრეტული, აზრი კი - ნათლად ჩამოყალიბებული და დასრულებული. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

## დავალება 24.

XVII საუკუნეში საფრანგეთის ფინანსთა მინისტრი ჟან-ბატისტ კოლბერი მერკანტილიზმის პოლიტიკას ატარებდა.

### კითხვები:

- (1) **24.1.** დაასახელეთ ამ ისტორიული მოვლენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი.
- (1) **24.2.** შეაფასეთ ამ შედეგის მნიშვნელობა საფრანგეთის ისტორიისათვის. აუცილებლად მოიყვანეთ არგუმენტი საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად.

## ინსტრუქცია დავალებისათვის №25.

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ისტორიული დოკუმენტი, გაიაზრეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 17.

ისტორიული დოკუმენტი და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე



## ნაწყვეტი სოლომონ ზალდასტანიშვილის მოგონებიდან

დამოუკიდებლობის კომიტეტის (დამკომი) კრებამ 20 აგვისტოს აჯანყების დანიშვნა ხუთ კაცს მიანდო. 24 აგვისტოს ხუთმა კაცმა დაადგინა: აჯანყება დაიწყოს 29 აგვისტოს 2 საათზე, მეამბოხეთა შტაბი გადავიდეს ქაქუცას ბანაკში. დამკომი და მთავარსარდალი მათ შეუერთდნენ, თბილისში კი დაარსდეს დამკომის განყოფილება. მე და იშხნელმა პროტესტი განვუცხადეთ ჯავახიშვილს, რომ განყოფილება დამკომის მაგივრობას ვერ გასწევდა. 25 აგვისტოს 5 საათზე: ანდრონიკაშვილმა, ჯავახიშვილმა, ამირეჯიბმა, ონიაშვილმა, წულაძემ და მთავარსარდალმა გენერალმა ჭავჭავაძემ თბილისი მიატოვეს და ჩოლოყაშვილის ბანაკში გადავიდნენ.

გადასვლა კითხვებზე: [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#)

26 აგვისტოს დამკომის თბილისის განყოფილების თავმჯდომარემ კრება მოიწვია, რომ გამოერკვია, რა დავალება ჰქონდათ შესასრულებელი თბილისის ორგანიზაციებს. კრებამ ჩემზე ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა. აშკარად ჩანდა, ახალი წევრები რამდენად არ იყვნენ საქმეში ჩახედული. აჯანყების გამარჯვებაში ეჭვი ჩემს დღეში არ მეპარებოდა, ახლა კი ვხედავდი, რა ცუდ პირობებში გვიხდებოდა მისი დაწყება. თბილისის განყოფილებას რამდენიმე ამოცანა ჰქონდა: ფოსტა-ტელეგრაფის, ჯავშნოსანი ავტომობილების, ჯავშნოსანი მატარებლის და საავიაციო გუნდის დაკავება. 27 აგვისტოს თბილისში ყველანი ამოდრავდნენ: ხალხს გამბედაობა მოემატა, ოფიცრობა აღარაფერს ერიდებოდა, თხოულობდნენ ქაქუცასთან გაგზავნას ან რომელიმე რაზმში ჩაწერას. 28 აგვისტოს

**ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე**

ადგილს ველარ ვპოულობდი და სანატრელ წუთებს, ღამის ორ საათს, მოუთმენლად ველოდი. ნასადილევს გახარებულმა ბავშვმა გაზეთი შემომიტანა, მიაწაიკითხე, რა კარგი ამბები წერიაო. გავშალე გაზეთი და ჩემს თვალებს არ დავუჯერე. ჭიათურა 28 აგვისტოს დილის 2 საათზე გამოსულიყო და აჯანყებულ ხალხს ქალაქი დაეკავებინა. ჭიათურა გამოვიდა 24 საათით ადრე. თავბრუ დამეხვა. ელვის სისწრაფით უნდა გვემოქმედა და ყველგან, განსაკუთრებით თბილისში აჯანყება დაგვეწყო. მაგრამ მთავარსარდალი და ხელმძღვანელი ორგანო 20 კილომეტრით იყო თბილისიდან დაშორებული. 24 საათით ადრე გამოსვლამ დრო და მოქმედების ინიციატივა ხელისუფლებას გადასცა. ერთი იმედიღა იყო, რომ ქაქუცა თავისი რაზმით მანგლისიდან და პოლკოვნიკი

გადასვლა კითხვებზე: [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#)

ცაგურია ვაზიანიდან თბილისს მოადგებოდნენ. გავიდა 29 და 30 აგვისტო არსაიდან არავითარი ცნობა არ იყო. ხელისუფლებამ კი ტერორს მიჰყო ხელი. 31 აგვისტოს პოლკოვნიკი ცაგურია თბილისში შემოიპარა, გვინახულა და გვიამბო, რომ 29 აგვისტოს დილით ორ საათზე დანიშნულ ადგილზე რაზმი არ დახვდა. ქაქუცასთან 600 კაცის ნაცვლად, 140 მივიდა და რადგან მანგლისი ვერ აიღო, კავთისხევში გადავიდა, სადაც რუსულ ჯართან ბრძოლა ჰქონდა. როცა დამარცხების ამბავი გაიგო, გადავიდა ოსმალეთში და იქიდან საფრანგეთში. დასავლეთ საქართველოში მთელი რაიონები მეამბოხეთა ხელში გადავიდა, მაგრამ ბრძოლის გაღრმავება ვერ მოხერხდა. დამკომს აღარ შეეძლო განკარგულებების მიცემა პროვინციებისთვის, რადგანაც კავშირი გაწყვეტილი იყო. სტუდენტთა

**ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე**

სამხედრო ორგანიზაციამ გამომიგზავნა სამი წარმომადგენელი, მთხოვეს რომ ხელისუფლების ტერორზე ტერორითვე გვეპასუხა. ამისთვის მთელი ორგანიზაცია მზად იყო. თბილისის განყოფილებამ არ გაიზიარა ეს წინადადება.

4 სექტემბერს მცხეთის მიდამოებში დაიჭირეს ანდრონიკაშვილი და ჯავახიშვილი. მეორე დღეს ორივე აიძულეს ხალხისთვის მიემართათ, რომ აჯანყება დამარცხებულია და რაზმებს სთხოვეს, იარაღი დაეყარათ და ხელისუფლებას დამორჩილებოდნენ.

გადასვლა კითხვებზე: [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#)

**კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე**

## კითხვები:

(1) **25.1.** რომელი წლის ამბებია აღწერილი მოგონებაში?

(1) **25.2.** თქვენი აზრით, რატომ გადავიდა დამკომი და მთავარსარდალი აჯანყების წინ ჩოლოყაშვილის რაზმში?

(1) **25.3.** დოკუმენტის მიხედვით, რა მოიმოქმედა ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმმა აჯანყების დაწყების შემდეგ, სანამ საქართველოს დატოვებდა?

(1) **25.4.** დოკუმენტის მიხედვით, 24 აგვისტოს მიღებული რა კონკრეტული გადაწყვეტილება გააპროტესტეს ზალდასტანიშვილმა და იშხნელმა?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [1-ლ გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-2 გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-3 გვერდზე](#)



(1) **25.5.** დოკუმენტის მიხედვით, რატომ მოახდინა 26 აგვისტოს გამართულმა კრებამ ცუდი შთაბეჭდილება დოკუმენტის ავტორზე?

(1) **25.6.** თქვენი აზრით, რატომ არ დათანხმდა აჯანყების ხელმძღვანელობა წინადადებას, რომ ხელისუფლების ტერორზე ტერორითვე ეპასუხათ?

(1) **25.7.** დოკუმენტის მიხედვით, საქართველოს რომელ ნაწილში მიაღწიეს ყველაზე დიდ წარმატებას აჯანყებულებმა და რაში გამოიხატა ეს?

(2) **25.8.** დოკუმენტის მიხედვით, სად დაიწყო აჯანყება დროზე ადრე და რა უპირატესობა მისცა ამან ხელისუფლებას?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [1-ლ გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-2 გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-3 გვერდზე](#)

(2) **25.9.** დოკუმენტის ავტორის მოსაზრებით, რა იყო სასწრაფოდ გასაკეთებელი აჯანყების ნაადრევი დაწყების შემდეგ და რატომ ვერ ხერხდებოდა ამის გაკეთება?

(2) **25.10.** დოკუმენტის მიხედვით, რომელი სამოქალაქო დანიშნულების დაწესებულება უნდა დაეკავებინათ აჯანყებულებს თბილისში და თქვენი აზრით, რატომ იყო ამ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი დაწესებულების დაკავება აუცილებელი?

(2) **25.11.** დოკუმენტის მიხედვით, ვის უნდა შეეცა ვაზიანიდან თბილისისთვის და რატომ ვერ შეძლო ეს?

(2) **25.12.** დოკუმენტის მიხედვით, რისკენ მოუწოდეს აჯანყებულებს ანდრონიკაშვილმა და ჯავახიშვილმა და თქვენი აზრით, მართებული იყო თუ არა მათი მოწოდება? აუცილებლად მოიტანეთ არგუმენტი საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად.

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [1-ლ გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-2 გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-3 გვერდზე](#)